დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ, საქართველოში, ეთნიკური დაძაბულობისა და კონფლიქტების საფუძველზე უამრავი უსიამოვნება მოხდა. ეს არა მხოლოდ საქართველოდან ფაქტიურად გამოყოფილ ორ ტერიტორიას შეეხება, არამედ ასევე ისეთ რეგიონებს, როგორიცაა სამცხე-ჯავახეთი და ქვემო ქართლი და იქ არსებულ სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფებს შორის არსებულ ნაკლებად გასაგებ დაძაბულობას. მიუხედავად ამისა, ალბათ, შეშფოთება მაინც არსებობს იმის თაობაზე, რომ ზოგიერთი ამ მიმდინარე უთანხმოებათაგან შეიძლება ძალადობრივ აქტებში გადაიზარდოს. ძალზედ ბევრი ეთნიკური კონფლიქტის ტრაგიკული ბუნებისა და ბრმა სისასტიკის გათვალისწინებით, რომლებიც უახლეს ისტორიაში მოხდა, ნათელია, რომ ამგვარი დაძაბულობა წინდახედულ და ყურადღებიან მიდგომას მოითხოვს. იმ შემთხვევაშიც კი, თუ სიტუაცია ძლიერ არ გამწვავდება, ისეთი საზოგადოების შექმნის მცდელობა, სადაც ხალხი, გავრცელებული ნეგატიური დამოკიდებულების გარეშე ურთიერთგაგებაში ცხოვრობს, წარმოადგენს მიზანს, რომლისთვისაც ღირს ბრძოლა. წალკა, ქვემო ქართლის რეგიონში, ერთ-ერთ ასეთ პრობლემატურ რაიონს წარმოადგენს.



## პროექტის მიზნები

პროექტ „მშვიდობის დიალოგი წალკის რაიონში" ძირითად მიზანს წარმოადგენს სამშვიდობო განათლების ღონისძიებათა განხორციელება, რაც სხვადასხვა ეთნოსების გაერთიანებას, ერთობლივ ჯგუფურ მუშაობას და შესაფერისი მასტიმულირებელი გარემოს შექმნას ემსახურება, იმ გარემოსი, სადაც ჩნდება ურთიერთგაგება და ნდობა უმცირესობათა შორის. პროექტის მიზანს ასევე წარმოადგენს საზოგადოების ცნობიერების გაზრდა მშვიდობისა და დიალოგის სფეროში განათლებისა და კულტურის როლის, როგორც კონფლიქტების თავიდან აცილების, ნდობის აღდგენის, ეთნიკურ უმცირესობათა სოციალურ ცხოვრებასა და ძირითად საგანმანათლებლო პროცესებში წარმატებული გაერთიანებისათვის პოზიტიური საშუალების შესახებ.

## პროექტის ბენეფიციარები

პროექტის პირდაპირ მიზნობრივ ჯგუფს წარმოადგენენ სხვადასხვა ეთნოსის ბავშვები. პროექტის არაპირდაპირ მიზნობრივ ჯგუფს წარმოადგენენ პროექტში ჩართული პედაგოგები, პროექტში მონაწილე ბავშვების მშობლები და ოჯახები, წალკის რაიონის სამოქალაქო საზოგადოება.

## პროექტში განხორციელებული ღონისძიებები

*1. ადგილობრივი პედაგოგების უნარ-ჩვევების გაუმჯობესება ბავშვებისათვის ჩასატარებელი სამშვიდობო ღონისძიებების სფეროში ტრენინგი, რომელიც ტარდება*

პედაგოგებისათვის, წარმოადგენს მნიშვნელოვან საშუალებას მათი სოციალური გარდაქმნისათვის. ტრენინგი მოიცავს შემდეგ თემებს: ხელოვნების თერაპია და არტ ტრენინგი, ინტერაქტიური სწავლება, ბავშვთა უფლებები, სტერეოტიპები და ცრუ შეხედულებები; განსხვავებულობა, უმცირესობები და მრავალკულტურული საზოგადოება, ტოლერანტობა და ურთიერთ ნდობა, კონფლიქტების გადაჭრა

*2 სამშვიდობო განათლების ღონისძიებათა განხორციელება ბავშვებისათვის*

სამშვიდობო განათლების ღონისძიებები ტარდება პედაგოგების ტრენინგებზე განხილული თემების საფუძველზე. ეს ღონისძიებები შედგება შემდეგი აქტივობებისაგან: ურთიერთგაცნობის თამაშები, თამაშები ურთიერთნდობის გასამყარებლად, კომუნიკაციური თამაშები, გამომგონებლური თამაშები, საგანმანათლებლო თამაშები, ხელოვნების სესიები და სამხატვრო გამოფენები.

*3 მრავალკულტურული ღონისძიების ორგანიზება რაიონის მასშტაბით,* სხვადასხვა ეთნიკური წარმოშობის სკოლებიდან, შეკრებილი იქნენ ბავშვები, რომლებიც ერთად მუშაობენ ერთი კულტურული ღონისძიების ჩასატარებლად. კულტურული ღონისძიება მოიცავს: სამხატვრო გამოფენას, ნაციონალურ ცეკვებს, თეატრალურ სკეჩებს, ტრადიციულ მუსიკას და სიმღერას. ყოველივე ზემოთხსენებული დაიდგა და მოეწყო სხვადასხვა კულტურისა და ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენელი ბავშვების მიერ. ეს ღონისძიება წარმოადგენს სხვადასხვა ხალხებს შორის მომავალი ურთიერთობებისა და ერთმანეთის ტრადიციების პატივისცემის გამყარების საშუალებას.



**პროექტის მოსალოდნელი შედეგები**

პროექტი მიზნად ისახავს წალკის რაიონის სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფებს, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებსა და საგანმანათლებლო დაწესებულებებს (სკოლებს) შორის ქმედითი ურთიერთკავშირის დამყარებას. სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენელ პედაგოგებს შორის არსებული თანამშრომლობა მათ საშუალებას აძლევს მიღებული მეთოდები საკუთარი მოღვაწეობის სფეროში გამოიყენონ და მსგავსი ღონისძიებები მომავალშიაც განახორციელონ. ასევე, პროექტის არსი მდგომარეობს იმაში, რომ პროექტის მიზნობრივი ჯგუფის წარმომადგენლები უზრუნველყოფილ იქნენ ყველა აუცილებელი პირობით რათა მომავალშიაც განახორციელონ მსგავსი ღონისძიებები.